



4613464784486

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

საქმე №3/6054-17

22 ოქტომბერი, 2018 წელი
ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ანა ჩხეტია
სხდომის მდივანი მამუკა გიორგანაშვილი

განხილვის ფორმა - ღია სასამართლო სხდომა

მოსარჩელე - შოთა ბუჩუკური

მოპასუხეები - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მესამე პირი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შპს „ენერგოტრანსი“

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სასამართლომ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2017 წლის 4 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შოთა ბუჩუკურმა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ წარმოადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 23 მარტის №54-04 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მინიციპალიტეტის სოფელ ოქრუაანამდე 500 კვ ელექტროადამცემი ხაზი „ქსანი-სტაფანწმინდას“ მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 19 ივლისის №121-04 ბრძანება, რომლითაც შეთანხმებულ იქნა „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მინიციპალიტეტის სოფელ ოქრუაანამდე 500 კვ ელექტროადამცემი ხაზი „ქსანი-სტაფანწმინდას“ კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები;

3. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 7 ოქტომბრის №179-04 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა დუშეთის

მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 1 დეკემბრის №204-04 ბრძანება, რომლითაც შეთანხმებულ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები;

5. ბათილად იქნეს ცნობილი ზემოაღნიშნულ აქტებზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 8 სექტემბრის განჩინებით სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო და მოცემულ ეტაპზე დასაშვებად ცნო.

2018 წლის 4 ივნისის სხდომაზე მოპასუხე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენელმა წარმოადგინა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებები, რომლებითაც დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის ცვლილებაზე (დუშეთის მუნიციპალიტეტის 12 კმ-იან შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთი) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა, კონსტრუქციული სქემა შეთანხმდა და მშენებლობის ნებართვა გაიცა.

2018 წლის 17 ოქტომბერს სასამართლოს წარედგინა შოთა ბუჩუკურის დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც თავდაპირველ სარჩელში ასახულ მოთხოვნებთან ერთად მოთხოვნილ იქნა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებების ბათილად ცნობა.

სასამართლომ მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მიიჩნევს, რომ სარჩელი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა იქნეს მიღებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების (დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის №1-1/1527 ბრძანებით) პირველი მუხლის მიხედვით, სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო მე-6 მუხლის მიხედვით, სააგენტოს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას უწევს სააგენტოს საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას, აჩერებს მისი უკანონო აქტის ან მოქმედების შესრულებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ იგი არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებას.

როგორც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის წარმომადგენლებმა განმარტეს, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებები ადმინისტრაციული საჩივრით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გასაჩივრებული არ ყოფილა. ამდენად, დასახელებული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელს უარი უნდა ეთქვას მიღებაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და მე-2 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე-416-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შოთა ბუჩუკურის სარჩელს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში უარი ეთქვას მიღებაზე;
2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მხარისათვის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისში, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) კერძო საჩივრის წარდგენის გზით.